საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის ორგანიზაცია - ინტერპოლი

ისტორია
XX საუკუნის დასაწყისში ევროპის ქვეყნების კრიმინალური პოლიციის დანაყოფების უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა ისეთი ორგანიზაციის შექმნა, რომელიც საერთაშორისო დონეზე კოორდინაციას გაუწევდა სხვადასხვა ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოების მიერ დანაშაულთან ბრძოლას.

1923 წელს ავსტრიის ქალაქ ვენაში ჩატარდა კრიმინალური პოლიციის მე-2 საერთაშორისო კონგრესი, რომელშიც მსოფლიო მაშტაბით 20 ქვეყნის წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. მათ სწორედ ამ შეხვედრაზე მიიღეს გადაწყვეტილება კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო კომისიის შექმნის შესახებ და ამავე დღეს დაამტკიცეს ორგანიზაციის წესდება. ავსტრია-უნგრეთის იმპერიის კართოტეკა, რომელიც თითქმის მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპას მოიცავდა, მდებარეობდა ვენაში. სწორედ ეს გახდა საფუძველი იმისა, რომ ორგანიზაციის შტაბბინის ადგილმდებარეობად არჩეულ იქნა ქალაქი ვენა.

კრიმინალური პოლიცის საერთაშორისო ორგანიზაციის პირველ პრეზიდენტად არჩეულ იქნა ავსტრიის პოლიციის პრეზიდენტი, კრიმინალური პოლიცის საერთაშორისო კომისიის შექნის უმთავრესი ინიციატორი, იოჰან შობერი.

1938 წელს ავსტრიის ნაცისტურ გერამნიასთან მიერთების გამო კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო კომისიის შტაბბინა გადატანილ იქნა გერმანიის ქალაქ ბერლინში.

მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ ორგანიზაციამ განაახლა ფუნქციონირება და მისი შტაბბინა გადატანილ იქნა პარიზში. ამასთან, მიღებულ იქნა დროებითი დებულებები ორგანიზაციის მიზნების, ამოცანებისა და ფუნქციების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციას იმ დროისათვის უკვე გააჩნდა საქმიანობის ცალსახად გამოკვეთილი მიმართულება, კერძოდ, კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაციას მონაწილეობა არ უნდა მიეღო სამხედრო ხასიათის დანაშაულებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში.

1956 წელი ინტერპოლის ისტორიაში მნიშვნელოვანი თარიღია. ამ წელს კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო კომისიის 25-ე სესიაზე ერთხმად იქნა მიღებული ორგანიზაციის კონსტიტუცია, რომელიც დღესაც ძალაშია და რომლის შესაბამისადაც, ორგანიზაციას კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაცია - ინტერპოლი ეწოდა. კონსტიტუციაში ჩადებულმა დებულებებმა მოგვიანებით საშუალება მისცა ინტერპოლს ცნობილი ყოფილიყო სრულფასოვან საერთაშორისო მთავრობათაშორის ორგანიზაციად.

1956 წლის კონსტიტუციის შესაბამისად ინტერპოლის მიზნებს წარმოადგენს:
1. სხვადასხვა ქვეყნების კრიმინალური პოლიციის ორგანოებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა ქვეყნის შიდა კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პრინციპების ფარგლებში;

2. დანაშაულის აღმკვეთი ორგანიზაციების შექმნისა და განავითარების უზრუნველყოფა.

ინტერპოლის 1956 წლის კონსტიტუციის, რომელიც რიგი ცვლილებებით დღესაც ძალაშია, ერთ-ერთ ძირითად დებულებას კრიმინალური პოლიციის საერშორისო ორგანიზაციის სამხედრო დანაშაულში ჩაურევლობა წარმოადგენს. კონსტიტუციაშიის მე-3 მუხლი იმპერატიულად კრძალავს ინტერპოლის ჩარევას `პოლიტიკური, სამხედრო, რელიგიური ან რასობრივი ხასიათის ნებისმიერ საქმიანობაში~. მიუხედავად აღნიშნული პრინციპის იმპერატიული ბუნებისა, ინტერპოლის საქმიანობამ დროთა განმავლობაში უფრო ფართო ხასიათი შეიძინა და ორგანიზაციამ საბოლოოდ, გადაწყვეტილება მიიღო, რეაგირება მოეხდინა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების ხელმყოფ ქმედებებზე, მიუხედავად ორგანიზაციის კონსტიტუციის მე-3 მუხლის დანაწესისა.

საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის ორგანიზაცია - ინტერპოლს ფუნქციურად მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული სტრუქტურა გააჩნია, მის შემადგენლობაში შედის:

1. გენერალური ასამბლეა;
2. აღმასრულებელი კომიტეტი;
3. გენერალური სამდივნო;
4. ეროვნული ცენტრალური ბიუროები;
5. მრჩევლები.

ინტერპოლის ფარგლებში ქვეყნების ერთმანეთთან და გენერალურ სამდივნოსთან თანამშრომლობისათვის უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭებათ ეროვნულ ცენტრალურ ბიუროებს. ინტერპოლის კონსტიტუციის 32-ე მუხლის შესაბამისად, თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად ყველა ქვეყანა ვალდებულია, გამოყოს ორგანო, რომელიც იმოქმედებს, როგორც ეროვნული ცენტრალური ბიურო და რომელიც უზრუნველყოფს კავშირის დამყარებას, როგორც უცხო ქვეყნის ეროვნულ ცენტრალურ ბიუროებთან, ასევე სამართალდამცავ ორგანოებთან და ინტერპოლის გენერალურ სამდივნოსთან.